

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს


მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ კომისიის 2017 წლის 15 მარტის N39 სხდომის ოქმს, კომისიის დასკვნას, კომისიის წევრების სარეგისტრაციო ფურცელს. დანართი-8 (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

რომან ბიწაძე



კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო,  
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N39

ლანჩხუთი

15.03.2017 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რ.ბიწაძე, გ.კერესელიძე, ა.ქანთარია,  
ი.სარჯველაძე, ა.ხუხუნაიშვილი.

არ ესწრებოდა: კ.ასკურავა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
წევრები: ი.ჩხაიძე, გ.ჩახვაძე, ა.მახათაძე, ნ.მურვანიძე, ჯ.ბლაგიძე, ო.გოგიჩაიშვილი,  
დ.ბურჭულაძე და ა.იმნაიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა რ.ბიწაძე.

დღის წესრიგი

1. საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურის“ გულშემმატკივართა განცხადების განხილვის შესახებ.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.
4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

5. გ.კილაძის განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში გაწვევრიანების შესახებ.

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

7.სხვადასხვა.

**რ.ბიწამემ** კომისიას გააცნო საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურიას“ გულშემატკივართა განცხადება, აღნიშნა, რომ განცხადებაზე ხელის მომწერები შეცდომაში არიან შეყვანილნი რადგან ბუნებაში არ არსებობს ბატონ ჟორდანიას მიერ წერილობითი ფორმით გამოხატული დაინტერესება კლუბ „გურიას“ მისთვის რაიმე ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით. ამაზეა ნათქვამი „ააფრინე ალალიო, რაც არ არის არარაიო“, ანუ ბატონ ჟორდანიას არ გამოუთქვამს სურვილი საფეხბურთო კლუბის მისთვის ჩუქების, თხოვების და მიყიდვის შესახებ. თუ კომისიის წევრები მომცემთ უფლებას საკრებულოს სხდომაზე გავაკეთებ ანალოგიურ განცხადებას კომისიის სახელით.

#### **მომხრე:5 წინააღმდეგი: არცერთი**

**რ.ბიწამემ** კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, აღნიშნა, რომ 2015 წლის დეკემბერში როცა განვიხილავდით 2016 წლის ბიუჯეტის პროექტს, ჩვენმა კომისიამ მხარი არ დაუჭირა საკრებულოს დადგენილების პროექტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, რადგან ვთვლიდით, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 და 2015 წლების ბიუჯეტების არ შესრულებების ტრადიციად ჩამოყალიბებული ტენდენცია საფუძვლიანად გვაფიქრებინებდა, რომ 2016 წლის ხელოვნურად გაზრდილი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არ შესრულდებოდა. დიახ, კომისიის პროგნოზი გამართლდა და მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო ბიუჯეტმა დეკემბრის თვეში განიცადა მრავალმხრივი შემცირებები, უფრო მეტიც ფინანსთა სამინისტრომ გარანტირებული შემოსულობების სახით ჩამოგვირიცხა 250ათასი ლარი ბიუჯეტი მაინც ვერ შესრულდა. გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მე უარყოფითად ვაფასებ. მე თავს არ მოგახვევთ ჩემს სავსებით ობიექტურ შეხედულებებს, გთავაზობთ დღეს ნუ შევაფასებთ წარმოდგენილ ანგარიშს და

საკუთარი შეფასებები დავაფიქსიროთ საკრებულოს სხდომაზე კენჭისყრის დროს თავისუფალ რეჟიმში.

**მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი**

**რ.ბიწაძემ** კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/**

**რ.ბიწაძემ** კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტი.

**/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/**

**რ.ბიწაძემ** კომისიას გააცნო საკრებულოს წევრის გ.კილაძის განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში გაწევრიანების შესახებ.

**/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/**

**რ.ბიწაძემ** კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულების პროექტი.

/მომხრე:5 წინააღმდეგი:არცერთი/

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა

კომისიის თავმჯდომარე:



რ.ბიწაძე

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

2800 ქ.ლანჩხუთი, კოსტავას N37 ტელ: 591.32.41.41

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

## სხდომის დასკვნა N39

ქ.ლანჩხუთი

15.03.2017 წ

2017 წლის 15 მარტს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურიას“ გულშემატკივართა განცხადების განხილვის შესახებ.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.
4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

5. გ.კილაძის განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში გაწვევრიანების შესახებ.

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

7.სხვადასხვა.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** -კომისიის წევრების მიერ გამოთქული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურიას“ გულშემმატკივართა განცხადების თაობაზე საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი განცხადება გააკეთოს კომისიის თავმჯდომარემ.

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე**- კომისიის წევრების მიერ გამოთქული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასება კომისიის წევრების მიერ საკრებულოს სხდომაზე განხორციელდეს თავისუფალ რეჟიმში.

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე**-კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსის რიცხული) ქონების ინვეტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე**- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2017 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე**- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება გ.კილაძის განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში გაწვევრიანების შესახებ მიღებული იქნეს ცნობად.

დღის წესრიგის მექვსე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე:







რ.ბიწამე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

15.03.2017 წ.

1.	რომან ბიწაძე	
2.	გურამ კერესელიძე	
3.	ადამ ხუბუნაიშვილი	
4.	ამირან ქანთარია	
5.	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა
6.	იოსებ სარჯველაძე	